

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მედიკიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მედიკიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროზა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლია—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

სომეხ დღე ორშაბათს ბარდა

დროშა

ცალკე ნომერი ღირს შაშრატი

განცხადება: მიიღება ქართლს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე. შასი განცხადებები: ყველა ენით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწავლოს და შეამოკლოს დასამუქდეთ განცხადებების სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროშაზე“

1 სექტემბრიდან ამ წლის დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროშის“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მედიკიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროშის“ აგენტებთან.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა—4 მან.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакціи газетъ „Дროзъ“.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

(ოფიციალური)

შარაიალი, 16 სექტემბერს. გუშინ იზმაილ-ფაშა ყოველის მხრით მიაწვა ღენ. ტერ-ლუკასოვის ჯარს; მარტო მარჯვენე ჩორუხჩისთან ოსმალოს ჯარის 12 ბატალიონი მიადვა მრეწენის ატრიადს; მაგრამ, ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ, აქ ტუბინის პოლკმა უკუ-აქცია მტერი და შეიღი ვერსი სდენიდა. წანარჩენ ალაგებიდამ მტერი განდევნილი იყო ზარბაზნისა და თოფის სროლით.

ჩვენის მხრით მსუბუქად დაჭრილია ღენერალ-ლეიტენანტი დეველი და ტუბანის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ძაბენინი. საზოგადო ზიანი ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი.

შარაიალი, 17 სექტემბერს. 15 სექტემბერს განსაკუთრებით ტუბინის პოლკმა გამოიჩინა მხნეობა. ღენერალ დეველის გარდა, ჩვენის მხრით დაჭრილია: პოდპორუჩიკები სტარცევი და ჰუსეინოვი, პორუჩიკ. ზალავინი, პრაპ. სმირონოვი, პარუჩ. მოლქენსკი, პრაპ. ლიტინსკი, პოდპოლკ. მდივანი, შტაბ-კაპ. ბაქრაძე პოდპ. ტუზნეცოვი და პოდპოლკ. ძოლოღევი. სალდათები სულ 16 მოკლულია და 148 დაჭრილი.

კეტიკბურღი, 17 სექტემბერს. მთავარ-სარდლის გაეკარგულებით ინგლისური გაზეთის „Standard“-ის კორრესპონდენტი ჭრედერის ბოილი გააგდეს რუსისა და რუმინის არმიადამ იმისთვის, რომ იმან დარღვია მიცემული პატიოსანი სიტყვა, რომ არ გამოაცხადოს ჩვენი ჯარის რიცხვი და სიმაგრეები.

მენა, 16 სექტემბერს. რუმინის ჯარსა და პლევნისაკენ მომავალს ოსმალოს ჯარს შუა მოხდა ბრძოლა; ჯერ არ ეიცით—ვინ გაიმარჯვა.

გორნი სტუდენ, 18 სექტემბერს. აქ მოვიდნენ რუსის ტახტის მემკვიდრე დედნ. ტოტლებენი.

ბოლგარიაში რკინის გზების გაკეთება, ღუნაიხედ ხიდების გადება, ჯარისათვის ყაზარმების აშენება და აგრეთვე სამხედრო გზების გაყვანა პალიაკოვსა აქვს მინდობილი.

მენა, 18 სექტემბერს. აესტრიის მმართველობამ აღმოაჩინა და დაიჭირა ტრანსილვანიაში დიდ ძალი თოფენი და სხვა სამხედრო მასალა. ეს თოფები და მასალა დამზადებული ყოფილა მენგრიის ლეგიონისათვის (თავისუფალ ჯარისათვის), რომელიც სილისტრიაში უნდა გამოსულიყო და ოსმალოს ჯარს უნდა მოხმარებოდა რუსების წინააღმდეგ. გამოძიებამ აღმოაჩინა ამასთანავე, რომ ამათ ჰქონდათ განზრახვა, რომ რუმინის რკინის გზები გაეფუჭებინათ და რუსის არმიისათვის ამნაირად სურსათის მიღება მოეხსოთ.

ამ საიდუმლო საქმის მოთავეობას მენგრიის ღენერალს ძლაპკას აბრალევენ. ეს საქმე (შენთქმულობა) დაწყებულია მენგრიაში სწორეთ იმ დროს, როცა მიტხად-ფაშა მენაში იმყოფებოდა.

ამბობენ, რომ ეს შეთქმულობა რომ არ აღმოეჩინათ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა იმას ამ ომზედა.

ბუზუბრი, 16 ენკენისთვის. „დროშის“ კორრესპონდენტი (ავტორით, რომ გაცნობოთ ხოლმე შესანიშნავი ამბები აქაურ ომიანობის ველიდან; მაგრამ, რადგანაც ჯერ ამ ჟამად, ჩემ მოულოდნელად, არა მაქვს შემთხვევა იქ მყოფობისა, და მაინც ჯერ არასდერი შესანიშნავი რაიმე შეტაკება არ მომხდარა რუსებსა და თათრებ შორის, ამისთვის დროებით მოგახსენებთ იმ მაჯის ტამრის ცემაზედ, რომელიც ჰქონდათ ამ ცოტა ხანების წინათ ამ ჩვენი ქალაქის ფრთხალ ხალხსა.

ოქის აზვები

აზიის ბრძოლის ველიდან

ბუზუბრი, 16 ენკენისთვის. („დროშის“ კორრესპონდენტი) დავპირდით, რომ გაცნობოთ ხოლმე შესანიშნავი ამბები აქაურ ომიანობის ველიდან; მაგრამ, რადგანაც ჯერ ამ ჟამად, ჩემ მოულოდნელად, არა მაქვს შემთხვევა იქ მყოფობისა, და მაინც ჯერ არასდერი შესანიშნავი რაიმე შეტაკება არ მომხდარა რუსებსა და თათრებ შორის, ამისთვის დროებით მოგახსენებთ იმ მაჯის ტამრის ცემაზედ, რომელიც ჰქონდათ ამ ცოტა ხანების წინათ ამ ჩვენი ქალაქის ფრთხალ ხალხსა.

ეს მაჯის ტამრის-ცემა ერთობ ცხარე ჰქონდა აქაურ მცხოვრებლებს, სანამ გაიგებდნენ, რომ აქეთკენ მოდის ორი პოლკი მოსკოვის 1-ლი ბრენადერის დივიზიისა. ამათ ჰქონდათ დიდი შიში მით, რომ მუშთარ-ფაშის არმიას გაუეწარდა დიდი ხმა:

ჯერ 13 თიბათვისას ჩვენებმა წააგეს საქმე ზიენთან; მერმე მუშთარის წამოსვლამ და დაახლოვებამ შარსთან შეაწყვეტინა ჩვენებს ოცი დღის გაცხარებული ყუმბარაობა შარსის წინა სიმაგრეებისა და აკრებიან ბატარეებიდან დიდის მცვადინეობით მძიმე ზარბაზნები, რომელნიც დააბრუნებინა ისევ ალექსანდრაპოლში; ამის შემდეგ მერმე დღეს ჩვენებმა მოშალეს მრთელი ბანაკი მაცრაში, დაიწიეს უკან და დაიბანაკეს ისევ ძველ პოზიციაზე—ზაიმში; მასუკან ჩაედინნ ქვემოთ და გაშალეს ბამბისკარვები გაღმით მდ. შარს-ჩაის ნაპირზედ სოფ. მენგიკოვში; შემდეგ წამოვიდნენ უკან და დაბინადდნენ ისევ მუშთარ-ფაშაში.

მართის სიტყვით, სამ-ოთხ დღეში, 28 თიბათვიდგან ვიდრე მკათათვის ვამდე, მაღლობა რმერთსა, მარჯვედ და დაუ-

ბრკოლებლად დაიწიეს ჩვენებმა შარსის კედლებიდან და დაბინადრდნენ ხსენებულ პოზიციასზედ... ბოლოს ხომ 13-ს მარია-ობისთვისას მსმალეობმა წაგვართვეს, როგორც ვიცით, შიზილ-თაფის მთა.

ამას რომ დაუმატოთ კიდევ, რომ აქაურ პლექსანდაპოლის მცხოვრებთ მუდამ დღე ესმოდათ სხვა-და-სხვა ჭორეული ამბები: თუ მუხთარ-ფაშას მოუვიდა კიდევ ჯარებიო; მუხთარ-ფაშა ჩამოვიდა მთიდგანაო და ეუბნებოდა ვითომც რუსებს: „მოდიო, რაღა, ვიბრძოლოთო ახლოა და მით დავაბოლოვოთ ჩვენი საქმეო,“ რომ რუსებმა პლექსანდრაპოლის ახლოს, არფა-ჩაის ვალმა, სოფ. მკახკულას ზემოთ გააკეთეს ორ-სამ ადგილს ბატარეები,—მაშინ ეს ყოველი ჩემი ზემოხსენებული ცხადაა წარმოგიდგენს — მიზენი იმ დიდი შიშისა, რომლითაც შეცულნი იყვნენ პლექსანდრაპოლის მცხოვრებნი და უცემდათ, დიდსა თუ პატარას, ორეულად მაჯის ტამარი.

აბა ახლა წარმოიდგინეთ, როგორ მდგომარეობაში იქმნებოდნენ ერთ დროსვე ამათთან ქრისტიანები—სომხები იმ სოფლებისა, რომელნიც ამ ქამად არიან აქაურ სამზღვარ გარეთ რუსების ხელში! რა ნაირი პურის ჭამა და ძილი ექნებოდათ მათ?!—რაღა თქმა უნდა, რომ სანატრელი, უსანატრელოცა... მარტო ხოლოდ მტრისათვის.

ახლა კი, მადლობა ღმერთს, ყველანი

დამშვიდდნენ აქ; აღარ უცემსთ ისე ტამარი, ყველანი გამხნედნენ და მოუთმენლად დიდის იმედით ელიან მტრის დამარცხებას, მეტადრე მაშინ, როდესაც ისმენენ აქ ეს მცხოვრებნი, რომ მუხთარ-ფაშას ყოველის მხრით შეკრული აქვს გზებო, დადგმული აქვს ცეცხლის მახეებიო: არამც თუ ზედ შუა გზაზედ, საითკენაც უეჭველად უნდა თუ არა, უნდა გაიაროს მუხთარმა თავის ჯარით და არტილერიით, გაკეთებულა ბატარეები, არამედ იმ გზისვე გვერდობაზედაცაო; ისე რომ მან უნდა გაიაროს ცეცხლის რიგების შუაო (срвозь строй).

მნახოთ როგორ წავა ჩვენი საქმე. ინებოს კეთილად ღმერთმა!

ბ. ზ—ქ

ნემეცური გაზეთი „Fremdenblatt“ გვაცნობებს, რომ მსმალეთის მთავრობამ ინგლისში, საფრანგეთში და თვითონ მსმალეთში ნახევარი მილიონი(500,000) რწყვილი საზამთრო ტანისამოსი შეუკვეთა თავის ჯარისთვისაო.

მსევე გაზეთი გვაცნობებს, რომ მსმალეთს ამ ქამად 500,000 კაცამდინ ჰყავს ბრძოლის ველზედ გამოყვანილი.

რუსის ოფიციალური გაზეთი „Вестникъ Народной Помощи“ გვაცნობებს, რომ „ამ 8 ენკენისთვემდინ ორივე ბრძოლის ველზედ—აზიაში და ლუნი-

ზე—ჩვენის (რუსების) მხრით 47,406 კაცი არის სულ მოკლული და დაჭრილიო.

ამბობენ, ვითომც პრუსიის გამორჩენილს პირველ მინისტრს თ. ბისმარკს ეთქვას შემდეგი სიტყვები:

—ან ამ ზამთრამდინ მოხდება მორიგება რუსეთსა და მსმალეთს შუა და ან, თუ ბრძოლამ შემოდგომამდინ გასტანა, მაშინ მთელი ევროპაც გაერევა ამ ბრძოლაში.“

„ბირმის სააგენტოში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 3 სექტემბერს შარაიალიდამ:

„ტყვილია ის ამბავი, ვითომც რუსებმა მიატოვეს არტანის და ამ ნაცისვარს ისევე ოსმალეები დაეპატრონენო. პირიქით არტანში ამ უკანასკნელ დროს გაგზავნეს 16 ბატალიონი რიონის ატრიალიდამ და 7,000 კაცი მნგურის ატრიალიდამ უნდა გაგზავნონ, როგორც კი აფხაზეთი სრულებით დამშვიდებული იქნება.

„ამბობენ, რომ როგორც ეს ჯარები მოვა არტანში, იმ წამსვე ღენერალი მკლობჯიო მუხა-მსტატედამ და არტანის ატრიალის უფროსი—თ. შრისთავი არტანისდამ მიაღებენ ბათუმისაკენ (ხუტ-შბანში) გამავრებულ ღერვიშ-ფაშასაო.“

შრანტუზული გაზეთი „Republique Francaise“ გვაცნობებს, რომ სოხუმიდამ დაბრუნებული ჭახლი-ფაშა, როგორც

ფელტონი

ვარკიის მიქინევის
მღვთის-მშობლის დღესასწაული *)
(ზაგაძელება)

რამდენათაც ამ ჯავახეთში, სამცხეთოში და ბორჯომის არე-მარეშია უხვად გაფანტული ქართველების მონასტრები და ნასოფლარები, ამდენათვე ქართველების ცხოვრების კვალი ეტყობა სამზღვარ გარეთ მსმალოს სამფლობელოშიაც, სადაც მთელი დიდი სომხეთი ე. ი. არზრუმის და ტრაპეზონის არე-მარე ხელში სჭერიათ ჩვენთ წინაპართ და მათს აქ ოდესმე განძრიელებულ და აჭყვავებულ ცხოვრებას მხოლოდ მონასტრები და ნასოფლარები-ლა გვაგონებენ.

როგორც სჩანს გამოჩენილ მენეციველ არხიმანდრიტის სომენ-კათოლიკე მამა ნერსეს სარქისიანის შრომიდან, რომელიც 1843 წლიდან დაწყებული ვიდრე 1853 წლამდე დადიოდა მცირე და დიდი სომხეთის ასაწერათ და თავის

ათის წლის შრომა სომხურ ენაზე წიგნათ გამოსცა, აი რამდენ ქართულ მონასტრებს აგვიწერს მამა ნერსესი მცირე აზიაში, რომელთაზედაც მას ქართული ზედწარწერილები უპოვია.

„1. ძალაქ ორთუმთან არის ძველი ქართული მონასტერი, რომელსაც სახელად „მოშქა“ ეწოდების; აშენებულია ერთს მალლობ ვაკობზედ და გარემემორტყმულია მშვენიერი ჩრდილოვანი ხილნარით. მონასტერი მშვენიერი არხიტექტურისაა და დატანებული აქვს ოთხი კარი. აღმოსავლეთის მხრივ გარედგან კედელზე გამოქანდაკებულია შრისტე მაცხოვრის სახე ანგელოზებით არწივით და წმინდანებით. მონასტრის გვერდზედ ერთი მოშენებული ტრაპეზია, სადაც იმყოფება სახე გვირგვინოსანი კაცისა, რომელიც მიღებულია ამ მონასტრის აღმშენებლათ.


„ამ მონასტერს კიდევ აქვს მიდგომილი მომცრო ეკკლესია, რომელიც ამ ქამად მეჩითათ არის ვადაკეთებული და ოსმალონი ასრულებენ თავიანთ წესს.“

„2. ამავე მონასტრის აღმოსავლეთის

მხრივ, ორი ვერსის სიშორით, არის კიდევ ძრიელ შესანიშნავი მონასტერი და საბერო ალაგი. ეს მონასტერი განიყოფება რვა შუაზედ დატანებულ სვეტებით ორ ნაწილად; ერთი განყოფილება უფრო დიდია, რომელიც სიგრძით 30 და სიგანით 16 1/2 მეტროა; ეს ორივე განყოფილებანი შეკრულნი არიან ერთი თალით და გუმბათით. დიდ განყოფილებაში წირვა-ლოცვა წარმოებულა და პატარაში კი ჩაყრილია ქვევრები, რომელნიც დღესაც ხელ-უხლებელნი არიან, სადაც ინახვიდნენ ბერები მონასტრის ვენახების ღვინოს.

„ეს მონასტერი მშვენიერ სურათოვან ალაგზედ არის ამაყათ გამოჭიმული და აღმოსავლეთის მხრივ ერთი ღელე უძევს, სადაც მშვენიერი კამკამა მდინარე წყალი ჩამოშრიალებს. მთლივ მონასტრის შენობა ყვითელი ფერის ქვითაა აშენებული, მხოლოდ კი ნახატობა და ზედ-წარწერილობა წითელ ფრად აჩნევია. ქედლებზედ გამოქანდაკებულნი მომატებული ნაწილი წაშლილი არიან და აგრეთვე მხატრობა და ნაწერობა,

*) იხიდე „დროება“, № 137 და 139.



ისმის, სოლეიმან-ფაშის მაგიერად ინიშნებაო, რადგან ამ დენერალზე სტამბოლში უკმაყოფილებას აცხადებენო.

შოთელი კორრესპონდენტი გაზეთის „Голосъ“-ისა შემევე ამბავს იწერება ამ ქალაქის ცხოვრებაზე:

„ღმემდი ჩვენ მოსვენებული ცხოვრება არა გექონია, რადგან მუდამ მტერს მოველოდით. ახლა კი აღარაფრის შიში აღარა გვაქვს. საკმაო ჯარი, ზღვის ნაპირზე გამართული სამი ბატარეა და ზღვაში გაკეთებული წყლის ლაღები საკმაოდ იფარვენ ჩვენს ქალაქს.

„აქაურ დაფრთხალ მცხოვრებლებსაც დაუშოშმანდაო გული და ცოტ-ცოტათი დაბრუნდნენ და თავის საქმეს მოჰკიდეს ხელი. პორტის აშენებაც კი ხელ-ახლად დაიწყეს.

„მართალია, ხანდისხან ჩვენ ვხედავთ, რომ ოსმალოს ხოძალდი ჩვენ ქალაქის მახლობლად ჩაივლის ზღვაში; მაგრამ ჩვენ ისინი აღარ გავიშენებენ; უბედურობა მხოლოდ ეს არის, რომ ციება გავწუხებს ერთობ.“

ვეროპის ბრძოლის ველიდა

ბაზეთი „Голосъ“ გაცნობებს, რომ რუსების მხრით პლენენსთან 105,000 ჯარი არის მიმდგარიო.

ამავე გაზეთის სიტყვით, ოსმან-ფაშას პლენენაში იმ თავით 60,000 კაცამდინ ყვანდაო; მაგრამ ახლა, რამდენიმე გაც-

ხარებული ბრძოლის შემდეგ, იმას 45,000 კაცზე არ უნდა ჰყვანდეს გამოსადეგი ჯარო. ამას თუ იმ 10,000 კაცს მოუმატებთ, რომელმანც, როგორც ამ დღეებში ოფიციალურმა დებეშამ გვაცნობა, ჩვენი ჯარი გააპო და შევიდა პლენენაში, მაშინ გამოვა, რომ ამ ჯამად 105,000 რუსის ჯარის წინააღმდეგ 55,000 ოსმალო დგას პლენენაში; მაგრამ ეს ოსმალოს ჯარი ისეთ ნაირად არის პლენენაში გამაგრებული, რომ ამ ქალაქის აღება, რუსის გაზეთისვე სიტყვით, კიდევ ბევრი ახალს ჯარსა და მსხვერპლსა მოითხოვს რუსეთისაგან,—და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ სულეიმან-ფაშამ ვერ აიღო შიპკო და ვერ შეუერთდა მეჰმედ-ალი-ფაშის არმიას ან თუ ერთი-ღი-ერთი ამ სარდალთაგანი პლენენასთან ვერ მიეშველა ოსმან-ფაშას; და თუ რომელიმე ამ უკანასკნელ გარემოებათაგანი მოხდა, მაშინ კი პლენენას აღება ყოველად შეუძლებელი დარჩება.

5 ენკენისთვის, როგორც მოკლე ცნობა ტელეგრაფითაც მივიღეთ, ხელ-ახლად უცდია სულეიმან-ფაშას შიპკოს გასავალის აღება ბალკანის მთაზე. ამ დღეს, ღამით უეცრივ და ჩუმად მოდგომია დიდძალი ჯარი ოსმალებისა წმ. ნიკოლაის მთას და, გაცხარებული, თავ-განწირული

ბრძოლის შემდეგ, აუღია ეს ბრძოლა გამაგრებული მთა. მაგრამ შემდეგ ახალი ჯარები მოსულან ზღვისპირა, სადა მომდინ შეუწყნარებელი სროლა ყოფილა და საღამოს კი ოსმალები იძულებული ყოფილან, რომ ეს მთა ისევ დაეთმოთ რუსის ჯარისათვის.

„მოსკოვის უწყებების“ კორრესპონდენტის დებეშა ამბობს, რომ ოსმალები გასაკვირველის მხნეობითა და თან განწირვით იბრძოდნენო, მაგრამ ჩვენს უანგარიშო და არა ნაკლების მხნეობით მებრძოლ სალდათებს ვერ გაუძღვსო და დამარცხებულნი დაბრუნდნენ წმ. ნიკოლაის მთიდანაო.

„მმართველობის მოამბის“ სიტყვით, ამ ბრძოლის დროს ოსმალების მხრით 300 კაცამდინ არის მოკლული და დაჭრილიო და ჩვენის მხრით კნ მხოლოდ 31 აფიცურია და 100 სალდათი.

ამ თვის 9-ს ხელ-ახლად ატეხილა შიპკოზე ბრძოლა.

სტამბოლელი კორრესპონდენტი ნემეტურს გაზეთის „Presse“-ისა იწერება ამ ქალაქიდან 17 (5) ენკენისთვის:

„ოსმან-ფაშის გამაგრება პლენენაში საშინლად ახარებს აქაურ მცხოვრებლებს. ქველა მეჩითებში ლოკუშა ლობენ და ღმერთს ევედრებიან ოსმალოების გამარჯვებისათვის. ხალხი დარწმუნ-

დროთა ბრუნვის გამო, ოცს ქვაში ერთს ძლივ-ლა აჩნევია; მაგრამ სამხრეთი კარის თავზედ კი სრულებით შეუშლელათ აჩნევია შემდეგი ნაწერი, რომლითაც დამტკიცდება ამ მონასტრის აშენების დრო:

„ა. მოწყალეებითა ღვთისაჲთა, რომელი სცავს ყოველთა მოშიშთა მისთა და წარუშართებს მოყვარეთა სახელისა მისისათა ყოველთა საქმე—

„თა კეთილთა. ამის წმიდისა სამებისა სარწმუნოებითა, და მეოხებითა წმიდისა დედოფლისა ჩვენისა მღვთის-მშობლისათა. მადლითა წმიდაჲსა ძელისა ცხოვრებისაჲ—

„თა, შეწვევითა და მეოხებითა დიდებულისა ნათლის-მცემელისაჲთა, და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელნი უკუნითგან სათნო იყვნენ ღმერთსა. ამათ ყოველთა—

„წმიდათა სადიდებლათ და საქებლად იწყეს ღვთივ-გვრგვინისათა მეფეთა ჩვენთა შენებად ამის წმიდისა საყდრისა, რათა ამას შინა აღესრულებოდინ დღესასწაულნი და შეიმკვებოდინ კსენებანი წმიდათა, ვითარცა წერილ არს. კსენებასა წმიდათა ეზიარებოდეთ: ამათ ყოველთა წმიდათა სურვილითა—

„ამათ დიდებულთა მეფეთა ჩვენთა უშურველ იყვნენ საფასენი წარმავალნი წარუვალისა მის-თვს, რათა იგი ყოველნი წმიდანი შემწვედ მოეგნენ და ღმერთმან შეეწიენეს ორთავე ცხოვრებათა: ძა-

ლითა ღვთივ-კურთხეულისა ადარნსეკ ქურაპალატისათა ბაგრატ ერისთავთა მრისთავე-მან, ღვთივ მაგისტროს-მან, სამება-მან წმიდა-მან

„სამნივე დაიფარენ მარჯვენითა თჳსითა, და აღიდგენ ორთავე ცხოვრებათა. და მე ბრიგოლ ღირს მყო მსახურებასა ამას მათსა ღვთისა მიმართ, და მე ვიყავ სამკსა ზედა მდგომი, და არწმუნა ღმერთმან გონებასა მათსა ერთგულობაჲ ჩემი მონისა მათისაჲ: ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი, და აზავერთა მექვემეთაჲ, რომელ წელიწადსა წარგების დრამაჲ ძ*) ათასი. ღვინოჲ ფასი მ რკინაჲ ლიტრა ნ ხვარბალი გრივი ს მ ი გალატოზი და ხუროჲ და მქედელი რომელ მარადის შვრებოდა მ ი კარი რომელი ქვასა კრებდა ლ ჯარი და სხვაჲ აზმვერი რომე ბრიგოლ წმიდით სპონდიკსა პრებდა ლ სხვაჲ აზავერი რომელს . . . და მ

„მ და . . . ერი და მოქმედი — ძ.

„ბ. † იესო ძრისტე. მეოხებითა წმიდისა ღვთის-მშობელისაჲთა და წმიდისა იოვანე ნათლის მცემელისაჲთა და წმიდისა ძელისა ცხოვრებისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა დაიდგენ მეფენი ჩვენნი წინაშე შენსა მაშენებელი ამის ეკლესიისანი ბაგრ(ატ).

„გ. . . ნ. განვაშენე და შეეკაზმე. წმიდისა წინა მორბედისაჲ საფასითა სულ

*) ამ ასოსა და ყველა ქვეით მოყვანილ ცალკე ასოებს ყოველის მხრით ორ-ორი წერტილი უხვია.

კურთხეულისა ჳოჯიკ პატრიკისაჲთაჲ აკურთხენ უფალო, აღიდგენ, ქარონიკონიჲ ხნე ბეოდ(ენთა) . . .

დ. ძრისტე ძეო ღვთისაო, აღიდგენ . . . მოწანი შენნი ბაგრატ და ღვთივ ორსავე ცხოვრებასა. წმიდაო ნათლის მცემლო, მეოხ და მფარველ ყყავ აზ-

ნაურნი და მსახურნი მათნი. დაჲცავენ მამაჲ მიქელ და მამაჲ მევანე, და ბრიგოლ ყოვლისაგან ბოროტისაგან.

ე. წმიდაჲ მარინე. წმიდაჲ მრინე; წმიდაჲ მკატერინე.

ვ. † მეფისა ნენა ბაგრატ ექვოავთა-ლენ თავსა.

ზ. წმიდაჲ იაკობი ძმაჲ—წმიდაჲ პეტრე. წმიდაჲ პავლე—უფლისა.

ც. . . . მშობელთა ჩვენთა საა. . . . ალატთა და მაგისტროს. . . . ლო და მად და მღ წინაშე შენსა ვ . . .

„მ. აღიდგენ მეფენი ჩვენნი.

ნ. წ. მონაჲ . . . და ერისთავთ მადს . . . ღიდგენ . . . (აღმაშენე) ბელი ამის წ(მიდისა) ეკკლესიისა X

მამა ნერსესი ამ გვირად ათავებს ამ ეკკლესიის ზედ წარწერილებს და შემდეგ იწყობს „ხახუა“ მონასტრის აღწერას.

(შემდეგი იქნება)

ნებულისა, რომ ამ ომში გამარჯვებული მსმალეთი ღირსება, და ამის გამო მორიგებაზე ლაპარაკს აქ კაცი ვერ გაბედავს: „თუ გეტხოვს რუსეთი, მოურიგდებით; მაგრამ მართლა იმ პირობით, რომ ჩვენი ქვეყნის საქმეებში გარეგან ნებას არავის არ მივსცემთ და რაც დავპირდით ჩვენ ქრისტიან ქვეყნებებს იმას აუსრულებთ.“ ასე სჯიან „სტამბოლელი“.

ვენის „Correspondenz Bureau“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 11 სექტემბერს სტამბოლიდან მიღებული:

„მეჭიდ-ალი-ფაშა იწერება, რომ ის ქალაქს ბელას მიწა რუსეთის რუსის ტანტის შემკვიდრეს არმას.

„შექვეტ-ფაშასაგან მოსული დეპეშა ამბობს, რომ იმის მოწინავე ჯარი ყოველგვარს სურსათითა და სამხედრო იარაღებით ორი საათის სავალზედ არის პლენაზედ, სოფ. ლუბნიკში. მე ვაძნობე მსმან-ფაშას, რომ ამ დღეებში მომელოდეს.

„სულიმან-ფაშას დეპეშა გვატყობინებს, რომ შიპოკზე ბრძოლა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. მტრის (რუსის) გამაგრებული ალაგები ჩვენის ყუმბარებისაგან გაფუჭებულია. ამბობენ, რომ რუსის ჯარს აქ სურსათი შემოაკლდაო.“

განსხვავებანი

ვართანოვის წიგნის მალაზიაში ისყიდება:

პლატონ იოსელიანისაგან გამოცემული ქართულ იწიგნი: თამარ მეფის და მის მძულლის უმსხვა — აბდულ-მესსია შავთელისაგან და აგრეთვე მეორე წიგნი ჩახრუხაძისა.

თითო წიგნის ფასი თითო რაზრი: (3—2)

პატივი მაქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შავსა და ფერად-ფერად

მელანს და აგრეთვე ყვილი წაღებისა და ეკიპაჟების ბოზრბლებისათვის ისეთს მავს რომ ყალი ვეზაათანს.

მითს ბოთლს მელანს ყვილი: უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ. მსურველს შეუძლია ამ აღრესით მომმართოს: არწრუნის ქარვასლაში, № 82 სტაჟან ხუდადოვი (3—2)

გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მართანოვის და ბრიჭურისაჲს საწიგნო მალაზიაში:

„ქვრივის სიღრმე“ და სხვები

ქუთაისში: სვიმონ ჩომახიძესთან, გუბერნიის სტამბაში, ბუღერის პირ-და-პირ. ფასი ყველგან ერთი შაური-ნ კაპ.

გამოვიდა ამ დღეებში წესდება

სასჯელთაზედა რომელთაცა გადასყვამტან მომრიგებულნი მსაჯულნი. ძასსაციონი განაჩენებითა და „თამაჟიას წესდება“

ისყიდება თფილისში, ტერ-ბრიჭურის წიგნის მალაზიაში, ქუთაისში ტერ-ბრიჭურის აგენტთან და სიღნაღში უ. ნ. ზამრეკელთან. (3—2)

დაიბეჭდება და გამოვა ამ თვეში ომის სიღრმე

და სხვა ლექსები. ფასი ყველგან ერთი შაური. თქმული. დავით ბიევილი-საგან.

კავკასიის საბავიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებენ ყოველწლიურად და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ, დღეში უფასო მიიღებან.

სალეე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთის არის.

მიღება ავთამყოფი ქალები და ყმაწვილების.

ქალის ავთამყოფობისათვის: შოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდან 11-დინ—დოქტორი მანაოვი.

მთხშაბათობითა და შაბათობით 12 სა.თადამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავთამყოფობისთვის: ხუთშაბათობით 11 საათიდან 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა, რემერტის, ალბანუსის და ანანოვის

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად) პრევის მადანზე, წინამძღვროვის სახლებში.

ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდან დილისვე 10 საათამდინ.

მრუშაბათს: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავთამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

სამშაბათს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის, თამამშვილი—თვალის ექიმი.

მთხშაბათს: ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფ., ქიურჩიანი—ვენერიული ავთამყოფობისათვის.

ხუთშაბათს: მერმიშვილი—შინაგან ავთამყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცივი და ასატუროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შაბათს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთამყოფ., ქიურჩიანი—ყურის და ხირურგიულ ავთამყოფობისათვის და თამამშვილი—თვალის ავთამყოფობის

რკ. ზნა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 12 ენკენის.		თფილისი, 19 ენკენის.	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს	1	პრთი ანეთი ღირს:		შქვ. თეთ. ბანჯისა, ფო.	160
ზორი	11 58	9 43	40	23	ზორს, ლუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი.	140
ხაშური	1 29	11 57	92	18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	პარიჟში 259 სანტიმი.	81	ქერი ფუთი.	110
სურამი	1 44		42	46	პეტერბურგს, მარშვას	2	სკონტი (სარგებლისფასი)	71	ბამბა ქრევისა, ფუთი.	8
ქვირილა	5 49		5	23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეტი 5%	94	—აშერიკისა, ფუთი.	850
რიონი	6 47		6	75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებიანი (პირველისესხი)	208 25	ბაპენტილი ბამბა ფო.	9
სამტრედია	7 41		7	29	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე სესხი)	208 75	მატყელი თუშური ფო.	7
ახ.-სენაკი	—		8	76	ფოშტა		ბირაოს ფურცლები:		—თარაქამისა ფო.	350
შოთი	9 40		9	42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		თფილ. საზნ. ბანკისა.		აბრეშუმი ნუბური სტ.	3
					ქვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკის (5%)	85 25	ქონი, ფუთი.	580
					მსურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ.		მოსკოვის (5%)	85 50	ქონის სანთელი ფუთი.	780
					ბ) ქუთაისიდან:				სტეარინის სანთელი, ფ.	1250
					თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		აქციები:		ხორცი ქოხისა, ლიტ.	63
					დღე, კვირას გარდა. მსურვეთს—		მდესის სავაჭრო ბანკის	177	—ტვრისა, ლიტრაჲ	63
					ორშ. და პარასკ.		შოთი-თფილ. რკინ. გზის		სპირტი, გრადუსი	12
					წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	შაქარი, ბროც. ფუთი	820
					და სამზღვარ გარეთ:		პავკანის და მერკურის.	225	—ფხვნილი ფუთი.	7
					ლია წიგნის	4	პირგ. საზღვევ. საზოგ.	745 50	შავა გრგვალი, ფუთი.	26
					დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	ზეთი ქუთუთისა ფუთი.	11
							მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	მქრო 1/2 იმპერილი.	790